პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 20 (1449), პარასკევი, 14 მაისი, 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვებული ხალხის დღესასწაული

კრემლის ყრილობათა სასახლეში

მთელმა მოწინავე კაცობრიობამ დიდი ზეიმით აღნიშნა ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი გამარჯვების ოცი წლისთავი. 9 მაისი ერთ-ერთი ნათელი და დაუვიწყარი დღედ დარჩება საბჭოთა ხალხის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ჩვენი ბრძოლის ისტორიაში, მთელი კაცობრიობის პროგრესისა და ცივილიზაციის ისტორიაში.

ცივილიზაციას, სიკეთეს და ადამიანის თავისუფლებას არასოდეს არა ჰყოლია იმაზე უფრო საშიში მტერი, როგორიც ფაშისტური გერმანია იყო. იგი ანგრევდა და ანადგურებდა ყოველივე კეთილს, გონიერს, ლამაზსა და მშვენიერს, ყველაფერ იმას, რითაც ადამიანი ამაყობდა. ამიტომ ფაშისტური ურდოების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის, მისი ძლევამოსილი წითელი არმიის ბრძოლა სამართლიანი და დიდი განმათავისუფლებელი ბრძოლა იყო. მეორე მსოფლიო ომში ჩვენმა სახელოვანმა არმიამ მსოფლიო ხალხების წინაშე დიდი ინტერნაციონალური მისია შეასრულა, მან დაიცვა თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება და ევროპის ქვეყნები იხსნა ფაშისტური მონობისაგან.

9 მაისი საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად იქცა. ამ დღესასწაულს მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები თავიანთ სანუკვარ მისწრაფებებს, მშვიდობისათვის ბრძოლას უკავშირებენ.

8 მაისს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა მოსკოვის მშრომელთა საზეიმო კრება საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების ოცი წლისთავისადმი.

სასახლის უზარმაზარი დარბაზი საზეიმოდ არის მორთული. აქ შეკრებილან ისინი, ვინც სიცოცხლის დაუზოგველად იცავდა მშობლიური ქვეყნის ღირსებას და დამოუკიდებლობას — სახელგანთქმული მხედართმთავრები, მამაცი ჯარისკაცები, რომლებიც ვოლგიდან შპრეემდე მივიდნენ, ჩვენი მამაცი ქალები, რომლებიც ქმრებთან, შვილებთან და ძმებთან ერთად მონაწილეობდნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში. აქ არიან მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნების მშრომელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, მეომრები, რომლებიც ახლა ჩვენი ქვეყნის მშვიდობიან შრომას იცავენ.

საზეიმო კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა.

ჰიტლერულ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის გამარჯვების ოცი წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. ბევრჯერ გაისმა ტაში. მოხსენების დამთავრების შემდეგ გაისმა მისალმების შეძახილები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების პატივსაცემად.

მ. ა. სუსლოვმა პრეზიდიუმში მოიწვია მოსკოვის მშრომელთა დელეგაცია მთავრობის მაღალი ჯილდოს გადასაცემად. ლ. ი. ბრეჟნევმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები იმის შესახებ, რომ მოსკოვს მიენიჭა გმირი ქალაქის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი".

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა დელეგაციას საზეიმოდ შესაბამისად გადასცა საპატიო სიგელი, ხოლო შემდეგ დროშას, რომელიც შემოიტანა მოსკოვის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ი. პრომისლოვმა, მიამაგრა მოსკოვის ჯილდოები — ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი".

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. გ. ეგორიჩევმა.

საზეიმო კრების შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მეომართა მხატვრული თვითმოქმედების ძალებმა.

საძირკველი ჩაეყარა დიდების ძეგლს

8 მაისს, დღის მეორე ნახევარში თბილისის გმირთა მოედანზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელი ამხანაგები, დედაქალაქის მშრომელები — ფაბრიკა-ქარხნების, დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების წარმომადგენლები. მიტინგი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ი. ლოლაშვილმა, მიეძღვნა დიდების ძეგლის საძირკვლის ჩაყრას. სკვერში დგას გრანიტის ქვა, რომელსაც ქართულ და რუსულ ენებზე აწერია:

„აქ აღიმართება ძეგლი დიდ სამამულო ომში სამშობლოსათვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის უკვდავსაყოფად".

ძეგლის საძირკვლის ჩაყრის ადგილას ვახტზე დგას საპატიო ყარაული.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ი. ვეკუამ, სოციალისტური შრომის გმირმა გ. ბოგვერაძემ, მახარაძის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბ. წითლიძემ, უნივერსიტეტის სტუდენტმა შ. ქველიაშვილმა, ყოფილმა პარტიზანმა, საბჭოთა კავშირის გმირმა დ. ბაქრაძემ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსმა გენერალ-პოლკოვნიკმა თ. სტეპანენკომ.

ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი და გ. ს. ძოწენიძე ტრიბუნიდან ჩამოვიდნენ, ძეგლის საძირკვლის ჩაყრის ადგილას მივიდნენ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით გვირგვინით შეამკეს საძირკვლის ქვა.

მიტინგი დამთავრდა. გაისმა პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი". საზეიმო მარშით ჩაიარა სამამულო ომის ვეტერანთა და თბილისის გარნიზონის ჯარების კოლონამ.

მიტინგის მონაწილეებმა უამრავი გვირგვინითა და თაიგულებით შეამკეს ის ადგილი, სადაც გმირთა დიდების ძეგლი აღიმართება.

სპორტის სასახლეში

8 მაისს, საღამოს საზეიმოდ მორთული სპორტის სასახლე ხალხით იყო გაჭედილი. აქ იყვნენ რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილების რვა ათასზე მეტი წარმომადგენელი.

სცენაზე, წითელ დროშებთან, სადაც დგას მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დიდი ბიუსტი, საპატიო ყარაულია. საპატიო ყარაულში დგანან საუკეთესო მეომრები. საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები მ. ი. კუჩავა, ვ. პ. მჟავანაძე, ა. ი. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტეპანენკო, რ. ი. ჩხეიძე, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჟანტუვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. კობოვაძე, ო. ე. ჩერქეზია, ა. ნ. ინაური, შ. ა. დოლიძე, სახელგანთქმული მეომრები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, საბჭოთა კავშირის გმირები, ძველი ბოლშევიკები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, თვალსაჩინო მეცნიერები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები, წარმოების მოწინავეები.

სხდომა გახსნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ი. ლოლაშვილმა.

მქუხარე ტაში გაისმა, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობა საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების ოცი წლისთავის შესახებ მოხსენება წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ. მოხსენება დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი. როცა ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ გამარჯვება უსურვა მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, გმირ საბჭოთა ხალხს, სახელოვან საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, დარბაზში მქუხარე, ხანგრძლივი ტაში გაისმა.

საზეიმო სხდომის დასასრულს დიდებულად აჟღერდა პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი".

შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. ასეთივე დიდი აღმავლობით ჩატარდა საზეიმო მიტინგები რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში.

შავი არწივი

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

სამამულო ომის გმირის ბაგრატ ვაშაკაშვილის ხსოვნას

გულდანდობილო, ჭკვიანო,
ქმარო, არ იეჭვიანო.
არც კი უნახავს თვალითა
ამ ბარათის დამწერი,
სიზმარივით რომ წავიდა,
როგორც ის წლები დამწვარი.
მამაცი ბიჭი იყო და
ლამაზ ქალს შეეხმაურა...
ლექსებს შენთან თუ იყოფდა,
ხელწერით თუ გეცნაურა...
და ეს ბარათი ცოლს ქონდეს,
აგრემც გათბობდეს ყველა მზე!..
იმ ბიჭის ხსოვნა ცოცხლობდეს
ამ ციმბირულ კერაზეც.

...პოლკში მოვიდა ბარათი,
უცნობი ქალის ბარათი.
(ოცი წლის მიღმა გადადის
სათავე ჩემი ბალადის).
კონვერტს წარწერა ანათებს,
ვით თრთოლვა ცისარტყელისა:
„ჩაბარდეს ეგ ბარათი
ვინც მამაცია ყველაზე!"

ბინდმა დაფარა ველები,
ტყეებით გადახრილები,
შტაბში შეიკრიბნენ, მაჯერობენ
დაღლილი მეთაურები.
მაინც ვის მისცენ წერილი
იმ ციმბირელი ლამაზის? —
დუმილზე ხმალმოღერილა
პოლკში ბევრია მამაცი.
ხან ეს ახსენეს, ხანაც ის,
დიდხანს გაგრძელდა კამათი,
ბოლოს შეთანხმდნენ: ჩაბარდეს
შავ არწივს ეგ ბარათი.

მართლაც არწივი კი არა,
ერთი შავტუხა ვაჟია
შიგ შუა ცეცხლში ტრიალებს,
ცეცხლივით უკვდავია.
ვაჟი კი არა, ვაშაა,
მტრის გულზე მეხად დაცემული,
ვაშაკაშვილმა გაშალა
ომში მარჯვენა ზღაპრული,
და გადაარქვეს სახელი
და შავ არწივად მონათლეს
ბევრი ბრძოლების მნახველი

და ისევ ბრძოლის მონატრე.
სთიბავს და სთიბავს ცელივით,
მტრის ტყვია არ ამყოფინა.
—დღეს ვით გადასცე წერილი, —
ბიჭი მტრის ზურგში ყოფილა.

გადის ერთი დღე, მეორე,
მესამეც უკვე ღამდება,
დარდი გაუჩნდათ მეომრებს,
ბაგრატს რათ აგვიანდება...
ჯერ გაუხსნელი წერილიც
ბლინდაჟში დევს მიწყენილი.

სადაა მოვა რაგრაგი...
უცებ გაიხსნა ბლინდაჟი.
შუქად იფეთქა იმედმა,
მეთაურმა თვალები მოილულა, —
მესამე ღამეს იმ ერთმა
სამი მოუგო მოლალა.

— შავო არწივო, ინებე,
უტყარი თეთრი მტრედისა! —
ეტყვიან, გაუღიმებენ —
შემოგვყვარა ბედი სად...

ლოყა უელავს ალისფრად:
ემტვრევა გულის ფიცარი, —
მისთვის წერილი ქალისა
იქნება პირველიც არა.
მზე ჩამდგომია თვალებში,
ტუჩს ღიმი გადასკვება,
პასუხს სწერს..
ვაი თუ ქალიშვილს
წერილს სწერს უკანასკნელად.

და უგრძნობ ლანდაკებზე
მიაქრის სამკუთხა ბარათი,
გადივლის რძიან ბილიკზე,
ურალის ქედზე გადადის...
ჰოდა, კეთილო, ჭკვიანო,
ქმარო არ იეჭვიანო,
იყო მამაცი ბიჭი და
შეეხმაურა ლამაზ ქალს...
შენც ხომ მასავით გიჭირდა,
შენც ხომ იბრძოდი მამაცად.
მაშ ეს ბარათი ცოლს ქონდეს,
აგრემც გინათოს ყველა მზემ,
იმ ბიჭის ხსოვნა ცოცხლობდეს
ამ ციმბირულ კერაზეც.



მოგონება. ნახატი მ. შველიძისა.

სიმღერა მიწის სიყვარულისა

ნარკვევი

◆

მანდილი

ჩირჩილის ფერდობს ცხვრის ფარა შემოჰფენოდა. სამწყემსოს მიმოფენით ქოთაკები გორაობდნენ, ნებივრობდნენ და საკუთარ ჩრდილს უცქერდნენ. ხეცვალში ავტომობილები დაქროდნენ. ელგუჯა ბეგიძე განმარტოებით იდგა, ჩონგურს უკრავდა და მღეროდა:

ვაცქერი შირაქის ველს და
ირგვლივ მზის შუქი ბრწყინდება,
სადა ხარ ქალავ, პირიმზევ,
ჩემო ყველავ და დიდებავ!
მწვანე ჩოხები ჩაიცვეს
ტირიფებმა და შვინდებმა;
ნუ იმალები გადაღმა,
გული უშენოდ ბინდდება!

იმ დღეს ელგუჯა კარგ გუნებაზე იყო. დილმა წარმატებით ჩაიარა, — ყოველ ას ნერბზე 99 ბატკანი შეინარჩუნა. აბა რა დაამშვენებს ჭაბუკს, როცა გული ვერ იტევს მოზღვავებულ სიხარულს. ავტომობილები ისევ დაქროდნენ გზაზე: ზევიდან ქვევით, ქვევიდან ზევით. „ვოლგის" ღია ფანჯრიდან შავთვალწარბა გოგონამ იასამნის ტოტი ესროლა.

— ვინ უნდა იყოს?.. — ჩაილაპარაკა ბეგიძემ, მაგრამ სიტყვა არც კი დაემთავრებინა, რომ მეორე უცნობმა ქალიშვილმა ავტობუსიდან ვარდისფერი მანდილი დაუქნია.

— განა რა უნდა ჩემგან? — გაიმეორა ელგუჯამ.

— ხელსულის ენა აქვს დილიცილი-შვილს! — თქვა ლევან მჭედლიძემ, მერე ბეგიძეს გასძახა — ბრიგადირო, რატომ გაჩუმდი, მანდილმა ხომ არ დაგატყვევა?

— აბა რას ამბობ, ძია ლევან, ცხვარი ყველაფერს მირჩევია.

— თუ ასეა, გვითხარი რამე!

ლევან მჭედლიძე და ელგუჯას მამა თევდორე ბეგიძე სიყრმის მეგობრები იყვნენ, თავიანთი ცხოვრების უმეტესი დრო ცხვარში გაატარებინათ. შვიდი წლისა იქნებოდა ელგუჯა, როცა თევდორე სამამულო ომში დაიღუპა. მაგრამ ობლობა არ აგრძნობინა ელისაბედმა შვილს. ჯარისკაცის ქვრივი საკოლმეურნეო მინდვრებზე შრომობდა და თავის ბიჭშიც შრომის სიყვარულს უნერგავდა. ჭაბუკმა გაამართლა დედის ამაგი. 1958 წელს წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა და პროფესიად მეცხვარეობა აირჩია. თუმცა პირველად უჭირდა ერთთავად ცხვარში ყოფნა, მაგრამ ძია ლევანის დახმარებით მალე შეეგუა მწყემსის ცხოვრებას.. ორი წლის შემდეგ ჩაირიცხა თბილისის ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში. ახლა მეხუთე კურსის სტუდენტია და მეცხვარეობის პირველ ბრიგადას ხელმძღვანელობს. ბრიგადას მისაელლად 395 სული ნერბი ჰყავს, საიდანაც წელს 390 სული ნამატი მიიღეს.

ფერმაში ყველას უყვარს ელგუჯა. ელგუჯასაც უყვარს თითოეული მწყემსი. ელგუჯამ ჩონგურის სიმებს თითები ჩამოჰკრა, ის იყო, ახალი სიმღერა უნდა დაეწყო, რომ თვალი მოჰკრა გაღმიდან მომავალ მხედარს. დააკვირდა, იცნო: ფერმის გამგე სტეფანე კობაიძე იყო.

გამარჯობა ელგუჯავ! — მიესალმა იგი, ბრიგადირმა სალამი ხალისით დაუბრუნა, მერე ფერმის გამგეს ჰკითხა:

— ხელმძღვანელო, უსაქმოდ არ იქნები ჩამოსული...

— ჰო, ჰო, რომ აგრეა, გამგეობის გადაწყვეტილებით კვირას „მეცხვარის დღეს" ვმართავთ საავაძის გორაზე.

მზე ქართლის ციხის გალავანს გადაიწვერა; მისი ოქროსფერი სხივები დაღესტნის ჭაღარა მწვერვალებზე ათინათობდნენ. ელგუჯა ახლა აღარ მღეროდა, თვალის გუგებში მხოლოდ უცნობი ქალიშვილის მანდილი უფრიალებდა, რომელიც სადღაც უხმობდა. მაგრამ...

— ბალღო, რატომ გაჩუმდი, მანდილმა ხომ არ დაგატყვევა?! — ყურში ჩაესმის ლევან მჭედლიძის ხმა.

— აბა რას ამბობ, ძია ლევან, ცხვარი ყველაფერს მირჩევნია! — გაეპასუხა, მაგრამ გულში სხვას ფიქრობდა..

პაპა გიორგი

საკუთარი მხრებით უზიდნია 95 წელი გიორგი თურმანაულს. ფშაველ გლეხს რა არ უნახავს ამ ხნის მანძილზე. ომიანობა თუ მოჯამაგირეობა, სიხარული თუ სიდუხჭირე. თუმცა წლებმა თავისი გაიტანა, მაგრამ მისი დაკვირვება და მეხსიერება ოდნავადაც ვერ შეარყია. დიდი და პატარა „ცოცხალ ენციკლოპედიას" ეძახის სოფელში. ვინ სხლავს თუ ვაზებს ძირებს უხრავს, ვაჟას ლექსებით გაივლის ხოლმე რქაწითელის მწკრივებს.

პაპა გიორგის შრომაც უყვარს და საუბარიც, ქეიფიც და მასპინძლობაც. ყოველ კვირა დღეს თანატოლები — მამუკა ქავთარაძე, იოანე ხადილაშვილი, ვანო ბუჩუკური და გამახარე ხელხვლაური გასძახებს: „მოდით, ვოჟებო, ვოლჯებო!" ბერიკაცები ლექსებს ღვინით სავსე ფიალებს.

— გაიხსოვთ, ვოჟებო, ლუკა, ვანო, — ამბობს თურმანაული.

— ჰაი, ჰაი რომ გვახსოვს! — ისმის პასუხი.

— უფალმა აცხონოს!..

— გიხმონოს ბატონმა!..

ფიალებს თავებს უქცევენ. მერე იგონებენ ლექსის არწივს და შირაქის ფერის მეკვლეებს. იგონებენ ჩარგალს, ხორხს, ჩირიკს, ბარისახოსა და სხვა სოფლებს, სადაც ბავშვობა გაუტარებიათ. მოგონებებს მოჰყვება სიცილი, შაირებს — სიმღერები.

ერთხელ პაპა გიორგის საშუალო სკოლის მოსწავლეები არჩილ ქავთარაძე, ვაჟა ოდიშარია, ლამარა კობაიძე და თამარ ჩოხელი ეწვივნენ. მათი მიზანი იყო შეექმნათ ალბომი „ჩვენი სოფლის აწმყო და წარსული". სოფლის უხუცესი სამახსოვრო ზურგში ინახებოდა. ბერმა პაპამ ხუმრობით ჩრდილში ჩაიმუხლა.

— გვიამბე რამე, პაპილო! — უხვეწებოდნენ ბავშვები.

— აბა რა ვთქვა, ბალღებო? — დაიწყო ბოლოს, — ასე გადმოგვცემენ ჩვენს წინაპრებს, როცა თუშ-ფშავ-ხევსურეთსა და მთიულეთს ბატონობის ციხე ეჭირათ, შეჯიბრებით გაუთავისუფლებიათ, თუმცა ჩვენს მხარეს სიმშვიდე შორიახლო უბრუნდება მათთვის. იმ დღიდან მხოლოდ საზამთრო საძოვრებად გადაქცეულით აქეურობას,

— სოფელი არასოდეს ყოფილა? — იკითხა არჩილ ქავთარაძემ.

— ჰაი, ჰაი რომ ყოფილა! — თქვა თურმანაულმა, — მაგრამ შაჰ-აბასის შემოსევის შემდეგ, რომ იტყვიან, „ქვა ქვაზე არ დარჩენილა", ეს ლეგენდაც იქიდან მომდინარეობს; როცა მოისმენ ამ სოფელი აუოხრებია და ბავშვთა კალო გაუღეწავს, მნახველს უთქვამს: „არ იხილოს კაცო თვალმა ჩემმა".

— ნუთუ მართალია? — წამოიძახა ლამარა კობაიძემ.

— მართალია თუ არა, ამაზე ყურადღებს

ვიტყვი, მაგრამ ერთი რამ ცხადია, სოფელს სახელი შემორჩა...

პაპა გიორგიმ ხელმეორედ მიაქანა ყალიონი, ბაგეში ისევ დადგა თამბაქოს სუნი.

— მაშ როდის აღდგა შირაქში ფუძე? — მიმართა ვიღაცამ ავტოაგრონომმა.

— ამის მოწმენი შენა ვარ. — იყო პასუხი. — აქ მხოლოდ ზამთარში ჩამოვდიოდით, ზაფხულში ისევ უკან ვბრუნდებოდით. მთაში ცხოვრება ჭირდა, — სახნავ-სათესი მიწები არ გვყოფნიდა, რაიც იყო ისიც გორხობდა. სიღარიბემ ვერ გაცილებდით თავიდან. ცხრაასეულ წელში ვაჟა-ფშაველამ გვირჩია წამოსულიყავით საცხოვრებლად შირაქში. ჰკუაში დაგვიჯდა მისი ნათქვამი... პირველი შირაქელები იყვნენ მარცვალა გურასაული, გიორგი ბუჩუკური, მთვარელა და აკა ბექაურები, სოსო და კაცია თურმანაულები, თანდილა ხელხვლაური და მე.

მამინდელი მთავრობა შველასა და ქომაგობას არ ღებდა. ჩვენსა და თუშებს შორის, რის გამო ბევრი უსიამოვნობა გვქონდა ერთმანეთში. მათ ჩვენი აყრა უნდოდათ აქედან, რომ ისევ საძოვრებად ექციათ მინდვრები. 1913 წელში კიდეც აგვყარეს. თუშებს აქეზებდა ამბრტის ბოქაული, იძულებული გავხდით, ისევ ვაჟაისთვის მიგვემართა. ვაჟა ჯერ მთავრობაში მივიდა, მერე შირაქში ჩამოვიდა. სოფლის მოედანზე გაბლდით ჩვენც და თუშებიც. ვაჟამ თქვა, თუშები და ფშაველები, ხევსურები და მთიულები ძმები ვართ, რაისთვის აგდევთ მტრის ენასო...

იმ დღიდან კაცისმკვლელი აღარ მოგვდიოდა. ის ცხოვრებული ხმირად ჩამოდიოდა შირაქში, სანამ ავად გახდებოდა, მოგვეკითხავდა, რჩევას მოგვცემდა და ისევ ბრუნდებოდა მთაში. ვაჟას დიდი ამაგი აქვს ჩვენზე.

ოჯახი და სიხარული

სალომე ყუმაგური ორი დღეა ბრიგადაში არ მისულა. თითოეულმა მეზობელმა კარგად იცის, რომ უმიზეზოდ არ დააკლდება სამუშაოს. ავად ხომ არ არის თუ შვილების ცუდი ამბავი გაიგო?.. ყველა ფიქრობს მასზე.

— სად არის დეიდა სალომე? — იკითხა ნაგზაურში ჩამოსულმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მიხეილ კობაიძემ.

— არც რაი ვიცით — იყო პასუხი. მაშინ თავმჯდომარემ ბრიგადირ ოთარ წიკლაურს მიმართა:

— ბრიგადირო, თუ რამე იცი დეიდა სალომეს შესახებ?

— ორჯერ მივაკითხე, მაგრამ მუდამ დაკეტილი დამხვდა კარი.

— ვინმე რამე უჭირს და შველა უნდა!

— მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ...

— უნდა ვინახულოთ!

ცისფერი „ვოლგა" ნაგზაურიდან სოფლისკენ მიქრის. მანქანის ბორბლებით იცვლება კილომეტრები. მთავარი გზა გაიარეს, მერე დეიდა სალომეს ჭიშკართან გაისმა „ვოლგის" მუხრუჭების ღრიალი. კაბინიდან ოცდათორმეტი წლის ახოვანი ვაჟკაცი გადმოვიდა. მას კეკლუცი მუქი თვალები და იდუმალ შეჭაღარავებული თმა ჰქონდა. მისი ხელი დაისვა კარს შეეხო.

— შინით შემოდი, სტუმარი ღვთისაა — გაისმა ქალის მოსიყვარულე ხმა.

შევიდა. დეიდა სალომე ლოგინზე იწვა.

— რაი მოგსვლია, მაგო? — იკითხა მისალმების შემდეგ კობაიძემ.

— არც რაი, პატარაი გავცივდი...

თავმჯდომარემ ოთახში მიმოიხედა: კედლებიდან ძია ვასოს, ვიქტორის, ვალიკოს და თამარის სახეები იცქირებოდნენ. მას გახსენდა ის დღე, როცა ძია ვასო სამამულო ომში მიდიოდა, სალომე დეიდას დაუტოვა სამი შვილი და ერთი ანდერძი: შენ იცი და შენმა დაცვამ!.. ომიდან იგი არ დაბრუნებულა. სამაგიეროდ მეუღლემ გაამართლა თავისი პირობა: ვიქტორს და ვალიკოს უმაღლესი განათლება მიაღებინა. პირველი ქვემო ქედში არის გათხოვილი და იქ მუშაობს მასწავლებლად, მეორე გონიოში ინჟინრად. თამარი კი თბილისში სწავლობს, IV კურსის სტუდენტია. ვაჟკაცების ოჯახში მარტო დეიდა სალომეა.

კობაიძემ ნუგეში სცა მეზობელს. მერე საექიმო პუნქტში წავიდა.

— მაპატიეთ, დეიდა სალომე ავად არის, — მიმართა ექიმს, — უნდა წამობრძანდეთ!

— კეთილი!

ექიმის ცდამ ინახულა ავადმყოფი. ემკურნალა. სულ მალე სალომე ყუმაგური ფეხზე წამოდგა.

როგორც ერთი კაცისთვის, ისე ზრუნავს მთელი სოფლისთვის მიხეილ კობაიძე. მიხეილმა 1959 წელს დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. იმ დღიდან მშობლიურ კოლმეურნეობაში მუშაობს. ჯერ მევენახეობის ერთ-ერთ ბრიგადას ედგა სათავეში, ხოლო ოთხი წელია კიროვის სახელობის კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს.

თავმჯდომარე ყოველთვის დასაქმებულია. ამჯერად ისევ დილა-ადრიან მინდვრებისკენ აიღო გეზი.

— რაი ამბავია, ბალღო? — გადმოსძახა ტრაქტორის კაბინიდან მამამ შვილს.

— მშვიდობაა!

— არსად ჩანს ფეხის გამგრძელებელი?

— ვაი რომ იგვიანებს.

მძღოლმა „ვოლგა" დასძრა, ძია ნიკომ ტრაქტორი. კოლმეურნეობის სავენახე მიწას აბრუნებდა. ყურადღებით შავ მიწას ათვალიერებდა.

— ძია ნიკო, სამახარობლო, — მოესმა ვანო წიკლაურის ხმა.

— რაი ამბავია ბალღო?

— ბიჭიანობა, ძია ნიკო, ბიჭიანობა!

— შენ გაიხარე, შვილო, თვალშავა ბატკანი ჩემზე იყოს.

ერთი კვირის შემდეგ კობაიძეების ოჯახიდან ქართული „იავნანა" მოისმოდა. არწევდა პატარა კობას აკვანს.

კეთილი მაცნე

ბაღლებმა მეხამეც იყვირეს. სოფელში ყველას ესმის, მხოლოდ გაზაფხულის ნიავი წყნარად არხევდა ალუბლის რტოებს თამარ პატარაურის საცხოვრებლის წინ. შავთვალწარბა ქალიშვილი საწერ მაგიდასთან იჯდა და სასწავლო თემას ამზადებდა.

— კარგი იქნება, ჩვენი კოლმეურნეობის შედეგებიც შევიტანო თემაში — ჩაილაპარაკა თავისთვის. მერე ბუღალტერიიდან ამოკრეფილი ციფრების ბლოკნოტი გადაშალა.

კოლმეურნეობამ შარშან წარმატება მოიპოვა, რისთვისაც რაიონის გარდამავალი დროშა გადაეცა. ამჟამად 1460 სულის ნაცვლად 1483 სული საქონელი ჰყავთ. აქედან 469 სული მეწველი ძროხაა. თითოეულმა 297 ლიტრი რძე მოიწველა. გეგმა კი 187 ლიტრს ითვალისწინებდა. 8000 სული ცხვრის მაგიერ 9690 სული ჰყავთ, ხოლო ნამატი 3096 ბატკანია; 9000 ქათმის ნაცვლად 19636 შეინარჩუნეს.

სახელმწიფოსათვის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტლის გეგმა პირნათლად შეასრულეს: 140179 ლიტრი რძე, 8 ტონა ცხვრის ხორცი და 141000 ცალი კვერცხი მიჰყიდეს. პირველის გეგმა 87703 ლიტრი იყო, მეორისა — 7 ტონა, ხოლო მესამისა—116000 ცალი. გამოჩნდა მოწინავე მექანიზატორი ვასო წიკლაური, გრიგოლ მზათობაშვილი და არჩილ ბახტაშვილი, მეფრინველეები: ივანე ხადილაშვილი, მარიამ აფციაური და ტასია კობაიძე, მეცხვარეები: ნიკო ჩიტაური, ლევან მზათობაშვილი და დავით კვირიკაშვილი...

თამარს განთიადისას ჩაეძინა. ძილში მიესმა ავტომობილის ხმა. მოესმა. იგი საწოლიდან წამოდგა. ტანთ ჩაიცვა და...

— თამარი მოდის, აგიტატორი მოდის!

— დაიძახეს ფერმის ქალიშვილებმა: მზია ბერდულმა, ქეთევან ვარდანაშვილმა, ნინო ბექაურმა, თამარ ბერდულმა და ეთერ არაბულმა.

— დილა მშვიდობისა, გოგოებო! — იყო აგიტატორის პირველი სიტყვა.

— რას გვეტყვი ახალს? — იკითხეს დამხვდურებმა.

— სხვა რაი ვთქვა, თუ არა ისევ მშვიდობა. — თამარი უბრალო და მიმზიდველი ენით საუბრობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მარტის პლენუმის გადაწყვეტილების შესახებ.

ართოლისკალელები ყურსად ხედავენ მატლის კოშკებს, აღარ ესმით ლაშარის ზარის ხმა. სამაგიეროდ უცქერიან ყანების ქედებზე მოფენილს, ბაღ-ვენახებში ჩაფლულ სოფელს. უცქერიან და... ყურში ჩაესმით სიმღერა მიწის სიყვარულისა.

ანზორ ჯიბლაშვილი

ცნობები მოსკოვიდან

მოსკოველ მწერლებთან

ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში გაიმართა მოსკოვის დაცვისადმი მიძღვნილი საღამო. ამ საღამოს მოსკოველი მწერლების სტუმრები იყვნენ საბჭოთა სამშობლოს დედაქალაქის — მოსკოვის დამცველი მხედართმთავრები, პარტიზანები და მებრძოლები. მათ მეტად საინტერესო საუბარი ჰქონდათ მწერლებთან.

დასასრულ საღამოს მონაწილეებმა ნახეს მოსკოვის დაცვისადმი მიძღვნილი ფილმი.

„ზღვის შვილები" — საკავშირო ეკრანზე

ახლახან მოსკოვში დამთავრდა კინოსტუდია „ქართული ფილმის" ნაწარმოების „ზღვის შვილების" რუსულ ენაზე გახმოვანება. კინოს ცენტრალურ სახლში გაიმართა ამ ფილმის პრემიერა, პრემიერის საღამოს ფოიეში გამოფენილი იყო ფილმის შემქმნელი კოლექტივის ფოტოსურათები.

ფილმის დაწყების წინ ცნობილმა სცენარისტმა ე. აგრანოვიჩმა სცენაზე მიიწვია რეჟისორი კ. პიპინაშვილი, სცენარისტი გ. ხუხაშვილი, მთავარი როლის შემსრულებელი რესპუბლიკის სახალხო არტისტი კ. დაუშვილი და მსახიობები ი. უჩანეიშვილი და ნ. მგალობლიშვილი.

მოკლე სიტყვაში ე. აგრანოვიჩმა აღნიშნა, რომ ამ ბოლო ხანებში ქართველი კინომუშაკები გვახარებენ კარგი ნაწარმოებებით, მათი ნამუშევრები მოსკოველთა სამართლიან აღფრთოვანებას იმსახურებს.

ფილმის დამდგმელმა — რეჟისორმა კ. პიპინაშვილმა მადლობა გადაუხადა ცენტრალური სტუდიის კოლექტივს, რომელმაც ენერგიულად იმუშავა და მოკლე დროში შექმნა „ზღვის შვილების" რუსული ვარიანტი.

შემდეგ ნაჩვენები იქნა ფილმი „ზღვის შვილები". ჟიურის გადაწყვეტილებით „ზღვის შვილები" საკავშირო ეკრანზე საჩვენებლად მიიღეს.

ქართველი რეჟისორის დადგმით

მოსკოვის თეატრებში ახლაც წარმატებით იდგმება ქართველი რეჟისორების — დ. ალექსიძის, გ. ლორთქიფანიძის და ა. გამსახურდიას მიერ შექმნილი სპექტაკლები. საქართველოს სახალხო არტისტმა მ. თუმანიშვილმა კი ლენინური კომკავშირის თეატრში ახლახან განახორციელა პროგრესული გერმანელი დრამატურგის ბერტოლდ ბრეხტის ანტიფაშისტური პიესა „რა ის ჯარისკაცი და რა ესა", მხატვრობა ეკუთვნით ო. ქოჩაკიძეს, ა. სლოვინსკის და ი. ნიკულინს, მუსიკა — ბ. კვერნაძეს.

მოსკოველებმა მაღალი შეფასება მისცეს მ. თუმანიშვილის დადგმას. გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" რეცენზენტი წერდა: „ეჭვი არაა, ბ. ბრეხტს ერთგულებით მოეწონებოდა მ. თუმანიშვილის მიერ წარმოდგენილი ეს ტემპერამენტიანი და გამომსახველი სპექტაკლი. რაც მთავარია, რეჟისორის კონცეფცია ესმის რისთვისაც დაიწერა ეს ნაწარმოები და დადგა ორმოცი წლის შემდეგ".

ს. რიჟინაშვილი

მიეძღვნა გამარჯვების დღეს

7 მაისს მწერალთა კავშირის კლუბში მოეწყო ჰიტლერულ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი გამარჯვების ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი ლიტერატურული საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ირაკლი აბაშიძემ.

მოხსენება თემაზე — ქართული მწერლობა დიდ სამამულო ომში წაიკითხა მწერალთა კავშირის მდივანმა ბესარიონ ჟღენტმა.

მოგონებებით გამოვიდნენ და ლექსები წაიკითხეს ა. გომიაშვილმა, ა. მირცხულავამ, ვლ. მაჭავარიანმა, რ. მარგიანმა, ვლ. სულაბერიძემ, შ. ამისულაშვილმა, კ. ბობოხიძემ, მ. ბარათაშვილმა, ა. ხოშტარიამ, ა. გეწაძემ, ბ. ქვლივიძემ, ვ. გეგიძემ, ვ. გორგაძემ, ტ. მებურიშვილმა, ნ. ჭილაძემ, გ. კეკელიძემ, ო. კუპრავამ, გ. კალანდაძემ, ა. შანიძემ, ვ. ლეჟავა-შვილმა, ზ. ჭუმბურიძემ და ს. წვერავამ.

საღამოს ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. გ. სტურუა.

[illegible]

20 მაისს მწერალთა სახლში (მაჩაბლის ქ. № 13), საქართველოს მწერალთა კავშირი და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი მართავენ შემოქმედებით დისკუსიას თემაზე: „თანამედროვეობის თემა დღევანდელ ქართულ მწერლობაში", მოხსენებას წაიკითხავს ბ. ჟღენტი.

კამათში მონაწილეობას მიიღებენ: გრ. აბაშიძე, გ. ასათიანი, კ. გამსახურდია, ა. გაწერელია, გ. გვერდწითელი, ა. გომიაშვილი, ნ. გურგენიძე, ი. ვაკელი, გ. ზამბახიძე, ლ. კალანდაძე, კ. კალაძე, გ. კანკავა, ტ. კვანჭილაშვილი, ს. კლდიაშვილი, ი. ლისაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, რ. მარგიანი, ვ. მაჭავარიანი, გ. მერკვილაძე, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ი. ნონეშვილი, შ. რადიანი, ა. სულაკაური, ე. ქიფიანიშვილი, დ. შენგელაია, ნ. ჩხეიძე, ი. წულუკიძე, ს. ჭილაია, თ. ჭილაძე.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

დასწრება მოსაწვევი ბარათებით.

რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის

„ვეფხისტყაოსანი" და ორი ხალხური ლექსი

ქსენია სიხარულიძე

◆

როცა გაეცნობით ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშებს, მდიდარ იდეურ სამყაროს თუ ინტიმურობას, როცა გვიოლებს საგმირო ლექსების სარაინდო კოლორიტი და მრავალფეროვანი მხატვრული სახეები ან კიდევ — ფილოსოფიური და სატრფიალო ლირიკის ლექსწყობა, ინტონაცია და მხატვრული სახეები, ძალაუნებურად ვიგონებთ „ვეფხისტყაოსნის" უკვდავ სტროფებს, [illegible] „შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე „ვეფხისტყაოსანი". [illegible] ხალხური ლექსი, ქართველი კაცის ნაფიქრი და ნაღვაწი [illegible] „ვეფხისტყაოსანზე" [illegible] [illegible] ერთი მხრივ, „ვეფხისტყაოსნის" [illegible] ერთი ეპიზოდი ასეთია:

თუცა მხეს ქნილი ავთანდილ
გულ-ამოსკვნით და კვნესითა,
[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]
შამბისა მირსა გარდახდა,
ცრემლი დაუგო კვესითა.
ცხენსა მისცა საძოვარი,
ვარდ მწვანე შეიწოდებს;

და ხალხური საგმირო ლექსის ფრაგმენტის მსგავსება, პირველ ყოვლისა, ნაღვლიან ინტონაციაა. ხალხური ლექსის ზოგი სტრიქონი იმეორებს კიდევაც უკვე მოყვანილ ავთანდილის მოქმედების ნიუანსებს:

„ვეფხისტყაოსანი"

შამბისა მირსა გარდახდა,
ცრემლი დაუგო კვესითა.

ხალხური

ჩამოხდა მერცხლ ძირშია,
ცრემლი დაანთო პრიალი.

„ვეფხისტყაოსანი"

ცხენსა მისცა საძოვარი,
ვარდ მწვანე შეიწოდებს;

ხალხური

ხანამ მწვანე შოიწევდოდა
ცხენსა მისცა საძოვარი.

ხალხური ლექსის სტრიქონებს რუსთაველის პოემის სხვა სტროფიც გვაგონებს. ტარიელის საკრებით მეორედ გამგზავრებულმა ავთანდილმა ...მინდორს თვა მოკლის, სიტყვა იტყვის, დაჰხვდის კლდეთა... (841,2).

ხალხური

ავთანდილ გადინადირა
ქედი მაღალი, ტყიანი...
...მშვილდსა მკრა გამოურინადა
ისარა თრმის ფრთიანი...

ციტირებულ ხალხურ ლექსში რომ ვადარებთ რუსთაველის პოემის სტროფებს, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ზოგი ვარიანტით ლეგენდარული მონადირის ამბავში მისი სატრფო თუ ცოლი თინათინად იწოდება:

თინა ქალ ისეთ კაცს მიეც,
მე მქონდეს თვალად-ტანადა.[1]

სვანეთში ჩაწერილი ვარიანტით თინათინ ავთანდილის რძალია.[2] ყველაფერი ეს — სამონადირეო ციკლის ლექსის ხალხურ „ვეფხისტყაოსანში" ჩართვა, სტროფებისა თუ სტრიქონების მსგავსება, ხალხური [illegible] ლექსის მონადირე ტიპური ბაღადია, მისი საგმირო-ქველმოქმედი [illegible] ... ამავე დროს, [illegible] რომ თვალწარმტაცი სურათი ავთანდილის [illegible]

ცეროდ შეკრული ტყეთი ბალმდია, მისი სიუჟეტი გამოკვეთილია, [illegible] არ გაიხსნა, იმის ქვეშე ლაქის დასაწყისშივე მოცემულია. დაზაარისიც მოულოდნელად [illegible]. ხალხური ლექსი წარმოშობით უფრო ძველია. იგი „ვეფხისტყაოსნის" [illegible] ... ხალხურ მეტყველებას არ სჩვევია გრამატიკული ფორმის გაჭედვება, [illegible] ლექსის დასაწყისში, იმის ქვეშის [illegible] „ავთანდილ გადინადირა".

„ვეფხისტყაოსნის" გმირის სიქველისა და სამონადირეო ოსტატობის ხოტბის გამოძახილი შეიძლება სხვა ხალხურ ლექსშიც, ამ შემთხვევაში სიინტერესოა [illegible] ... რუსთაველის დიდი და უკვდავი პოეტური სალაროდან შეგნებული დასესხება, [illegible] ხალხურ მასალებზე დაყრდნობით?

ტარიელის საკმაოდ ავთანდილის გაპარვის ცნობამ შეამფოთა როსტევან მეფე. იგი მოსთქვამს გაზრდილისაგან სამეფოს დატოვებას:

აწ უშენოდ რაღა ვუყო
საჭურჭლესა და სრასა სრულსა.

თუმცა როსტევან მეფემ იცის, ავთანდილს თან ახლავს ღვთის მისი და ლაშქარით ... ეჭვით იცის, რომ მის გაზრდილს ჰყავს მეგობრები, სიმამაცე და მონადირის დიდი ოსტატობა. ამიტომ ისმის მეფის მოთქმაში:

ვეცა არ მოგკლავს შიმშილი,
რამონძაც დია ირემი;
შენ შენი მშვილდ-ისარი,
შენთა ისართა პირები.

რუსთაველის პოემის ეს სტრიქონები ოსტატურად შერწყმია თუში ლევანიშვილის მიერ ჩაწერილ სამონადირეო ციკლის ხევსურულ ლექსს, რომელიც ამბობს იქიდან გამოხმაურებელია:

ლომანი, ვერ დაგლეჯეთ სიმშილი,
ათას შორის ხროვდნ ირმები.

[illegible]

ეძიე მოთხრობილი იყო, რომ ორივე გმირმა ერთმანეთი მზის დარი მშვენებით ნახა (281). იგივე მეორდება ტარიელ-ფრიდონისა და ავთანდილ-ფრიდონის დამეგობრების ეპიზოდებში.

[illegible] ...ამ რეტელი ისეთი ხალხოსნისა და სპეციფიკური ... „შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე „ვეფხისტყაოსანი".

---

[1] ალ. შანიძე, ხალხური პოეზია. გვ. 126.

[2] [illegible]

რომორც ცნობილია, სიყვარული და მეგობრობა „ვეფხისტყაოსნის" ძირითადი მოტივებია. ტრადიციული შეხედულების თანახმად, რომელიც არსად არ არის მკაფიოდ გამოთქმული, მაგრამ მაინც დამკვიდრებულია სახელმძღვანელოებში და სხვა ნაწარმოებებში, სიყვარული „ვეფხისტყაოსანში" არის გრძნობა, „ცეცხლთა დება", იმ დროს როცა მეგობრობაში მთავარია მოვალეობა, მეგობრისადმი თავგანწირული დამხმარების პრინციპი, რომელიც პოემაში ასეა გამოთქმული:

ხამს მოყვარე მოყვრისათვის
თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული გულსა გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად.

ასეთი დაპირისპირება, ერთი მხრივ, სიყვარულის, როგორც გრძნობისა, და მეორე მხრივ, მეგობრობის, როგორც მორალური პრინციპისა, არ ასახავს პოემის ნამდვილ ვითარებას. ნამდვილად ადამიანთა ურთიერთობის ეს ორი კეთილშობილური ფორმა არ არის პოემაში ამდენად განსხვავებული ფსიქოლოგიური და ეთიკური შინაარსით. მხეფლობა რომ თვალსაჩინო იყოს, მოვიყვანთ ამის რამდენიმე ილუსტრაციას.

1. მეგობრობა, ისევე როგორც სიყვარული, პირველ ყოვლისა, ცხოველი გრძნობაა, სულისა და გულის წადილი გრძნობა. „წვისა" და „ველად გაჭრის" ჩვეული სახეები, რომლებიც პოემაში სიყვარულის გამოხატავს, მეგობრობის გამოხატვადაც იხმარება. ავთანდილი ტარიელზე ამბობს:

...მან ყმამან ცეცხლითა დამწვა
ალვისა სახემან (738)
უმისოდ მყოფი ვერ გავძლებ
ჟამისა, ვერცა წლისა,
მათი ნადირთაებრ გავრბა
ცრემლთ, მათთანა რბოლისა (768)

„გულთა გაცვლის" მეტაფორაც, რომელიც „ვეფხისტყაოსანშიც" და დასავლეთ ევროპის სარაინდო პოეზიაშიც სიყვარულის გამომხატველია, ზემოთ ციტირებულ № 768 სტროფში მეგობრულ სიყვარულს გამოხატავს.

2. მეგობრული გრძნობა, ისევე როგორც სიყვარული, [illegible] ...

[illegible]

თუ ქვეთ, სახელისწერი გრძნობა, განგებისაგან წინასწარგანსაზღვრული, ავთანდილის ანდერძში ნათქვამია:

რაცა ღმერთსა არა სწადდეს,
არა საქმე არ იქნების,
მზისა შუქთა კურ-მჩვრეტელი
ია ხმების, ვარდი ჭნების,
თვალთა ტურფა საჭვრეტელი
უცხოდ რადმე ეჩვენების,
მე ვით გავძლო უმისობა,
ან სიცოცხლე ვით მეთნების?
(როგორცა მეპმება 793).

„ტურფა საჭვრეტელი", რომლისგან სულწალებულობა განგებით მოვლენილი გარდუვალი გრძნობაა, ტარიელია, ხოლო „უმისობაში" „უტარიელობა" იგულისხმება. ქალისა და კაცის სიყვარულზე იგივე აზრი პოემაში გამოთქმული არ არის, მაგრამ სიყვარული რომ რუსთაველის ქართველ და არაქართველ თანამედროვეებს სწორედ ასეთ სახელისწერო, გარდუვალ, ჩვენს ნებაზე დამოუკიდებელ გრძნობად ჰქონდათ წარმოდგენილი, ეს ცნობილი ფაქტია. საილუსტრაციოდ თუნდ „ვისრამიანის" შემდეგი ადგილი კმარა:

ღმერთს „სიფელი და სწუთრო მბრძანებლობითა დაუბადებია და ყოველი მამისგან მოძრავი და მათი საქმარი ქმნილებებ გარუგია. ველნი და მოლდაანი ვენახად და ნაშენებად შეიქმნებიან და დია დარბაზიანი გაველდების, მრავალი დიდი დამცირდების და ცოტაი განდიდდების. თუ მიჯნურობისაგან ჭირი და სიმწარე გაქვს, შენ ჩაუქმებითა შენითა ვერ დაეკსნები, თუ ღმრთისა განგებაა, გაგიმარჯვებს, იცოდე, ვერ ამჭიდები მისსა საქმესა. არცა

„ვეფხისტყაოსნის" ერთი „ფილოსოფიური" მოტივი

ნოდარ ნათაძე

◆

კეთილობა ჰგრგების, არცა სიდიდე, არცა მქლავი, არცა სიჭვრეტე, არცა გონებიანობა, არცა ქელმწიფობა, არცა ქრძალეა და პატიოსნება. რა სიყვარულისა საქმენი მოვლენ, ურემლის ემონჩილებიან კაცნი ვითა და კარგთაგან". (გვ. 67).

4. მეგობრული გრძნობაც, სიყვარულის მსგავსად, ადამიანის „ამაღლების", მისი ზნეობრივი განწმენდისა და სრულ[illegible]

[illegible]

გან და მათ შორის იგივეობის მტკიცება შეუძლებელს ხდის.

სატრფოსთან განშორების ტანჯვასთან ერთად, რომელიც ბუნებრივი ადამიანური გრძნობაა და შესაბამისი პოეზიის ერთ-ერთი გავრცელებული მოტივია, „ვეფხისტყაოსანი" სახელოვან ერთად ყოფნის ტანჯვასაც ვარგად იცნობს: მშვენიერი და სრულყოფილი

[illegible]

ბრძოლთა სიმღლი მღვრიანი,
ვერა გაუძლო, იგივა
მოყვალ ალთა ხელითა (911).

ცხადია, „ვერ გაძლება" აქ გრძნობის ვერგაძლებას ეხება და არა ვეფხის ბრჭყალებისას.

კაცთა შორის სიყვარულში ანუ მეგობრობაში ამგვარი ორმხრივი, წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება შეუძლებელია. ეს ფაქტიურად ის ერთადერთი

[illegible]

შოთას პორტრეტი ქვაბისხევის ბაზილიკაში

ნარგის ცაიშვილი

◆

ქვაბისხევის მიდამოებში (ბორჯომის რაიონი), ერთ ძველ ეკლესიაში დაცულია ფრესკა უაღრესად საგულისხმო წარწერით, ვიდრე შევეხებოდეთ აღნიშნული პორტრეტის მნიშვნელობას ჩვენი მეცნიერებისათვის, წინასწარ საჭიროა შევნიშნოთ შემდეგი: ამ საუკუნის ათიან წლებში, როგორც ცნობილია, ქვაბისხევის მიდამოებში იმოგზაურა ექვთიმე თაყაიშვილმა, მისი დაკვირვებით არქიტექტურა აუზრთია ეკლესია და ეს გაფ[illegible] ... 1924 წელს [illegible]

კლდი გზა, რომელიც აერთებდა მესხეთსა და დასავლეთ საქართველოს. იგივე დაგვიდასტურებს ადგილობრივთა მოხსენიებაც. ახლაც თურმე სალაშქრო ბილიკით ლომის მთაზე გადაულით სამ საათში შეიძლება იმიერ საქართველოში მოხვედრა. ხეობის სიღრმეში რამდენიმე ციხისა და ეკლესიის ნანგრევებიც ახალდება. ეკლესია, რომელსაც მარიამწმინდა[illegible]

სახელი დიდი რუსთაველისა: ყოველივე ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ როგორც ფრესკები, ისევე წარწერები ამგვარად ძველია და ერთდროულად არიან შესრულებულნი. გ. ჩუბინაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ეკლესია აშენებულია ძალიან ადრე, როგორც ჩანს, მე-9 საუკუნისათვის, როცა სამხრეთ საქართველოში გრიგოლ ხანძთელი[illegible]

ნის აზრით, შორს უნდა იყოს მარცხის, ვერახავურიდან, ასევე შორია აძიკის (მანგლისის მახლობლად) ბარელიეფიდან მეპ დადებულთა წრეს უნდა ეკუთვნოდეს. დასასრულ, ამასთ ყველაზე უფრო ნათლად მეტყველებს ქვაბისხევის კედლის მხატვრობა, რადგან პერიოდის ერისთავებს, ვგონებთ, არსაიდან მიუწვდებოდათ ხელი ქვაბისხევის ეკლესიაზე.

[illegible]


სურათზე: შოთას და იას პორტრეტები ქვაბისხევის ბაზილიკაში.

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

მირიან მირნელი

მდინარე ლოდებთან უცებ ათავებს,
მოდის, კვალდაკვალ ქარი მისდევს
და ჩნდება იგი როგორც სათავე,
მერე გროვდება წყაროს ტოტივით.
პირველყოფილად აბოლებული,
ის მოდის ლურჯად ამღვრეული,
ვით გახარება მზის და სიცილის,
ვით დაფიქრება ყველა სიცილის.
ქედებს ეძებს მისკენ ალმური,
მოდის ზვირთებად, მწვანე ბორცვებად,
მოდის, მოუძღვის, ვით მეთაური,
ყველა ლტოლვას და ყველა ოცნებას.
მას, ვით მეომარს, ისე იცნობენ,
რომელმაც ყველა მოიმდურა აჯობა, —
იწვის წვეთებით,
როგორც სიცოცხლე —
რომ გამოსტაცეს ზღვაში დახრჩობას.

უმზერს ქვეყანას ფართო თვალებით,
ტყეებს სინედლედ თავზე ადგება
და არის სავსე იდუმალებით,
ვით მწვერვალებით — მშვენიერება.
შედის ბაღებში, როგორც სურვილი,
უეცრად უნდა ახდეს რომელიც
და არის იგი კაცის სულივით
ძლიერი და მიუწვდომელი.
მოდის,
ალუბლებს ღეჭავს მომავალს,
ხელს სიყვარულით როცა მოჰკიდებს,
ის მოდის როგორც ოქროს მოფარდაგი
და ძველი ქერქი სცვივა კოპიტებს,
კვირტის სხეულში,
ვაზის ტოტში
ტალღა სისხლისკენ უცებ იცდება...
მზერადიქცეული თრთიან ტოროლები
და ლექავს როგორც თავგანისაცმ.

და მაინც მზესთან დარჩები ვალში

ამირან მიქაუტაძე

შორიდან წყნარი გუგუნი მოდის,
აშლილი ფუტკრის ბიმბის მაგვარად.
იღვიძებს სული — მოულოდნელი ორბი,
რომ ვარსკვლავეთში შეჭრას კამარა.
სულში იზრდება გუგუნი ქარის,
გადაკეტილი სადღესასწაულებით,
თითქოს შემოდის ექსპრესი ჩქარი
რეკვით მეზობელ სადგურებიდან;
ზღვაზე ტალღები ტალღებს აწყდება,
ზღვაზე ზღვაურმა თავი აიშვა.
ამა ენძელების სიოდ ნარწევი
შემოეჭრება სულში ქარიშხლად:
შეგძრავს,
შეგბოჭავს,
შეგაწრიალებს
ელვით, ქუხილით, წვით და წადილით
და ძლიერები, როგორც მდინარე,
წვიმით გამძღარი და მოვარდნილი.
ხელავ მომლიმარ კეთილ სახეებს...
ხეები მწვანე ხელებს გიწვდიან...

ეს ცა გამღერებს,
ეს მზე გამღერებს.
გესმის ბუბუნი დედამიწიდან.
წვიმად შრიალებ მწვანე მიწისთვის,
ხარ მოწყვეტილი ქარში ფოთოლი,
ზვავთა ზრიალი,
კლდეთა სიმტკიცე.
წინაპრის ციხის ბჭე და გოდოლი...
დედის ცრემლები მზის სხივებს
ერთვის...
სით სურს ჩუმად რაღაც გახარის...
შენა ხარ კაცი,
ხარ ლექსი,
ირგვლივ ბრუნავს მთელი
სამყარო.
ვარსკვლავეთს ხსნის ნათელს და
მაღალს,
შენ ცას შეხარი — ბრძენი და
ბავშვი,
მზის ორბიტაზე ლექსებით გავალ
და მაინც მზესთან დარჩები ვალში.



დაბრუნება.

ნახატი შ. ნარმანიასი.

მოთხრობა

თ ო ფ ი

გიორგი ლაბაძე

[illegible]

— მეუბნება, ეს ხიმალდი ნამდვილია?
— ჰო, — გავცინე მას, — ნამდვილია.

[illegible]

— ჰო, ამა ჩამიმალეთ ერთი.

[illegible]

— ხუთ თუ კარგი ტარი იქნება...

[illegible]

— არ გაინძრე! —

[illegible]

— აჰ, არ მომკლა! —

[illegible]

ერთი მცდარი დებულების გამო

ჯიბო ლომაშვილი

◆

ბაქოთი მეფობა XII საუკუნის ქართული კულტურის შესახებ. [illegible]

[illegible]

XII საუკუნის ქართული კულტურის შესახებ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" სწორად გაგების გარეშე წარმოუდგენელია. [illegible]

[illegible]

(დასასრული შემდეგ ნომერში)

პოეტის პირველი წიგნი

მკითხველმა მიიღო რეზო ამაშუკელის ლექსების პირველი კრებული. ეს ლექსები სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში.

რეზო ამაშუკელის მიერ არჩეული პოეტური თემები, თავისთავად, „ტრადიციულია". იგი ცდილობს კიდევ ერთხელ, თავისებურად, ახლებურად განაცდევინოს მრავალგზის განცდილი, თუნდაც, სამშობლოს სიყვარული. სწორედ ეს — პოეტის თავისებური განცდა, განცდის ხასიათი იპყრობს მკითხველს. ასე რომ არ იყოს, სამშობლოზე დაწერილი ლექსები წყლის წვეთებივით ემსგავსებოდა ერთმანეთს: სამშობლოს სიყვარული საყოველთაოა და ნათელი.

პოეტი არ ეწრაფვის მოვლენის ახალობას, არ ცდილობს მისი მნიშვნელობის ჩვენებას; მას აინტერესებს ამ მოვლენის ხასიათი, ცდილობს განგვაცდევინოს, გვაგრძნობინოს ეს მოვლენა. მისი განცდა მძაფრი და თავისებურია.

[illegible]

ხაძლია; მას სხვა მიზანი (სურათის დახატვის გარდა) არც ჰქონია, ხოლო მინიატურა („სურათები") ხასიათდება ხაზგასმით ფერწერული განლაგებით. მათში არის ცოცხალი, ხელშესახები დეტალები, რომლებიც აწესრიგებს, სულს უდგამს ნახატს:

შუადღის მზეზე
ლივლივებს პატარა წყარო,
[illegible]
თეთრი ქვიშანი.
ცა არის სუფთა,
ცისფერია მთელი სამყარო.
[illegible]
და ფარვანები.
[illegible]
ქალაქის ბაღი,
[illegible]
გვაბი,
[illegible]
[illegible]

ამ „გლახოს" და „ასურეთული შავტუხა ბიჭის" გამო ფერწერულად მართალი სურათი უძლიერესად კოლორიტული გახდა და გარკვეული პოეტური განწყობილებაც შეიძინა (შედარებით მეორადია — ხატის თვალსაზრისით — „ცისფერია მთელი სამყარო").

კრებულის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია „შველი".

[illegible]

კრებულის სხვა ლექსებიდან მოვიხსენიებ: „მებადურის ქოხში", „ვლადიმერ მაიაკოვსკის", „პოეტს და ვაჟკაცს", „თოვს, თბილი ზამთრის თეთრი ხელები..." და სხვ.

მხატვრული შესრულების თვალსაზრისით სუსტია „ძახილი", „მშვენებებს", „მხატვარი".

[illegible]

ჯუმბერ თითმერია

ვიტალი კოროტიჩი

ხსოვნა

1907 წელს, ქართველი ხალხის დიდი მწერალი და მოაზროვნე ილია ჭავჭავაძე ვერაგულად მოკლეს. მკვლელი ამ ორი ათეული წლის წინათ იპოვეს და სამაგიერო მიუზღეს. „უნამუსო კაცი საქართველოში დიდხანს ვერ ბოგინობს" — მითხრეს ყვარელში.

დიდებულია, რომ ასეა.

არსებობს ქვეყნად უკვდავება
ჩუმი და ფრთხილი,
რომლის წინაშე თვით სიკვდილი არის მართალი.
კაცი არსებობს —
მოზიმზიმე საკუთარ ჩრდილის,
როგორც ფრინველი, —
საკუთარი ფრთების ფარფატის.
და ცხოვრობს კაცი,
ძველი წლებით გადატვირთული
და ქვრივი სიცოცხლის და ბედნიერების,
რადგანაც აქვს ბორბლების დიდი სირთულე.
რადგანაც იცის,
რომ არსებობს მეხსიერება,
და სადღაც ბნელში ცხოვრობს კაცი,
მაგრამ არ იცის,
როგორ იცოცხლოს შეუმჩნევლად
და როგორ მოკვდეს,
რადიოებში ჩართულია ზარზარი მიწის
და გაზეთებში მკვდარ სულებზე სწერია მოკლედ.
ისე ცოცხლდება წუთისოფლის ძარღვი ყოველი,
როგორც ხეობის დაკარგული ფეხის ტკივილი,
და კანტორაში იმალება კაცი, რომელსაც
საშინელება უკვდავების მოსდევს კვალით.
ძნელია, როცა ცოცხალი ხარ და როცა იცი,
რომ შენ საშინლად უკვდავი ხარ
და უბედური.
მრავალი გზებს ელოდება პარისკენ მიწის,
მაგრამ მოვარდა წვიმა დიდი და გაბედული.
განრისხება და ფლიდობა
კვდება და მიდის,
უკვდავი რჩება
ბოროტება და საყვედური.
და სადღაც ცხოვრობს
კაცი ისე, როგორც ყუმბარა,
ისე ვით ბურჯი.
სამარეებში დიდი შენობის...
და ის სტირის,
და სირცხვილით კი არა სტირის,
არამედ სტირის ულხინობით და უბედობით.
და ძალას ითხოვს
ფლიდობით და ნაღვლით სავსე.
გარდასულ დღეთა ბორბლების ფერფლებს აღზევებს,
პატარა ჩრდილს უჭერენება სისხლიან წარსულს,
მაგრამ წარსული ბარბაცებს და ხმას არ იღებს.
ის იბადება,
რადგან ორჯერ ხალხია მკაცრი,
მაგრამ ღიმილი არ ყოფილა ბოლო მტრისა,
დიახ, არსებობს.
ქვეყანაზე არსებობს კაცი —
მარადიული,
როგორც მათი ბორბლებისა.

გელათი

პეტრო პერებეინისს

როცა მთები დუმდებიან, როცა კვდებიან,
როდესაც გულზე დაიწყობენ დაკოდილ ხელებს,
აქვითინებულ მსახურების დადგება დღე,
მკვლელები სასახლეებს მოადგებიან.

ზოგი გარდაცვლილ უდიადეს მეფის ხვედრია,
ეპიტაფიაც არა აქვთ სადღაც საფლავის ქვაზე,
რადგან აღარ აქვს ზარბაზნებში იმ მეფის აზრი,
რომელსაც ომში ათასები გაუხდნენ.
სარდალი მოკვდა
და ხრიალებს რქა მონადირის,
მეფის ძალები აჯანყდებიან კუბოს სახურავს,
მეფის საფლავში ასვენებენ მისი მსახურნი
გაცვეთილ ზღურბლთან, —
აღსრულდა მეფის წადილი.

დადგით ფეხი,
ახლა უკვე ნუ გეშინიათ,
მარმარილოზე სახელიც კი არა სწერია,
აქ ასვენია... გარდაცვლილი აქ ასვენია,
კაცის სიკვდილი ამბავია თურმე ზნეობა.
თავმდაბალია ყველა მეფე სიკვდილის შემდეგ.
მისი მსახური ამაყია, როგორც ფეოდალი,
მეფის მაგ ლუკმის სვამენ, უკვე კლავენ მოწყენას,
რომ მეფის ცხენზე
მალე მისი მემკვიდრე შეჯდეს.
ჰაჰ, გულუბრყვილო კომედია,
გიმხიარულებს ბერავს,
როცა მეფეებს ასაფლავებ გაცვეთილ ზღურბლთან
ღმერთი არ არის მეფე.
მიწამ უარი უთხრას,
იგი მეფეა.
მოკვდავია და მიწა შეიჭამს.
მაგრამ კვდებიან ლაქიებიც და მსახურებიც,
უტრაბახოდ,
უსახელოდ და უნიათოდ.
წამოვა თოვლი, იმათ ღია საფლავებს მიათოვს
და ღია მონასტრებს არ შესძრავენ დაფა-ზურნებით.
ახლა ჩემს წინ დგას კაცი ძველი,
ვით ყველასია,
ამბობს: ამნაირ ფრესკებს
ქვეყანაზე ბევრს ვერ დაითვლით,
ჩვენი გელათი მსოფლიოში უძველესია,
გარდა ამისა,
აქ მარხია მეფე დავითი!

უკრაინულიდან თარგმნა **ჯანსუღ ჩარკვიანმა**

პური

„თოლოვის ქუჩებში თენდებოდა. მზე ბრწყინავდა ფანჯრის მინებზე. ბაზარში გამოფენილ სუფრებზე და გამვლელთა თვალებში. მე სასტუმროს კიბეზე ვიჯექი და ვუყურებდი, როგორ დაფრინავდნენ მტრედები სინათლის ზღვაში.

ვხედავ სინათლეს.
სხვები მღვიძარი
იქრება მინდვრი,
ბიჭი იღვიძებს
და იბადება დღე იდუმალი
მშობიარობის ყრუ ტკივილებით.
ცისკენ ზმორებით წასული კვამლი,
დღის სიხარული უნდა ახარო
ცას და ქვეყანას,
გესმის მაშინ
ყურში ჩაესმის თითქოს სამყაროს!
დიდი კრაზანა ზუზუნებს ისევ.
გაბრუებული მზით და სურნელით.
კვამლის ღრუბელი წასული ცისკენ,
სუნთქავს გამომცხვარ პურის სურნელით.
რა დიდია და რა ნამდვილი,
ეს მზე, რომელიც დღეს სალამს გვითვლის,
ან ეს ვაშლები
ანდა ამ ტილოთ
დაბადებული სიმღერის რიტმი.
ეს კვამლი თითქოს წარმართი იყოს,
თითქოს როკავდეს ცეცხლის ფეხებთან,
კვამლი წააგავს პოეზიის სტრიქონებს
და გათენება არის ლეგენდა.
იბარე დილო!
ეს მზის ამოსვლა
და იყოს მუდამ ასე ზღაპრული
და შენს თონეში ახლადგამომცხვარ
პურის სურნელით ისევ გაბრუვდი...

კავკასიონი

ჟანსუღ ჩარკვიანს

რატომ დაეკვრი მხოლოდ ფილაკანს,
ზოგჯერ თვალები გავეჭქეს ზღვით,
ასხედ და ცა დაინახე.
თოვლიან მთებში იცხოვრე მზერით.
იქ გელიდება მთების ლაშქარი,
ისინი მზეზე როცა ბრწყინავენ
მაშინ მეჩვენება, ხანამ კამკამით
არ დაგაბრმავებს მათი სინათლე.
ის აღარ არის ახლა ილიმპი,
მხოლოდ მთებია,
იმათი ძვერა
კავკლრე და ზვავით მოლიბულ
მთებს გაუსწორე ამაყი მზერა.
ჯური დაუგდე.
როგორც საკუთარ
ფურქვას გულისას და შენს თვალებში
დაბადებული ცრემლით აკურთხე
მათი ბრწყინვა და მათი ალერსი.
ეძებ შენი კავკასიონი, —
ის მშობლიური გულის და გვიდის,
წინ გაცოცხლდება სინათლე მისი,
იბრძოლე შენი მაღალი ცისთვის...

უკრაინულიდან თარგმნა **გივი გეგეჭკორმა**

ილიას ახალი პორტრეტი



რესპუბლიკის სახალხო მხატვარმა შოთა მიქატაძემ ახლახან დაამთავრა ილია ჭავჭავაძის პორტრეტი. ქანდაკება უურადღებას იქცევს თავისი კომპოზიციით და ინტიმური შესრულებით. ეს ნამუშევარი ერთხელ კიდევ მკაფიოდ მეტყველებს, რომ მონუმენტური ქანდაკების ოსტატი, ამავე დროს, არის ქართული კლასიკური პორტრეტული ჟანრის სკოლის ტრადიციების ღირსეული გამგრძობი.

ილიას პორტრეტი მეტყველი და ცოცხალია, მდიდარი შინაგანი ნიუანსებით. ქანდაკებაში ბრწყინავს გენიალური მწერლისა და საზოგადო მოღვაწის აზრის სიღრმე და სიდიადე. ქანდაკებიდან იკითხება დიდი მოაზროვნის სამშვიდე გამჭრიახი, ჭკვიანი გამოხედვა, მომხიბვლელი ძალა, სულიერი კეთილშობილება.

მხატვარს ამ ნაწარმოებში მთელი თავისი ტალანტი და ოსტატობა ჩაუქსოვებია. მალე ეს ქანდაკება დაიდგმება სოხუმის ერთ-ერთ მოედანზე. რაც ქალაქის იერსაც მშვენიერ მიდამოებს კიდევ უფრო დაამშვენებს.

ს. ნაციაშვილი

ვ. ასლანიშვილი

[illegible] „ვეფხისტყაოსნის" [illegible] ქართული წიგნის [illegible] და მოყვარული — [illegible]

ვ. ასლანიშვილი დაიბადა 1903 წელს ყვარელში. 1921 წლიდან იგი მუშაობდა სახანძრო დაცვის საქმეს ემსახურებოდა, მაგრამ მისი გული მაინც ქართული წიგნის, ჩვენი ლიტერატურის მზისა და დიდების — შ. რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსნის" უსაზღვრო სიყვარულით ძგერდა.

ვ. ასლანიშვილი იყო შესანიშნავი წარმომადგენელი იმ ქართველი მწიგნობრებისა, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის" გამოცემებს ხათუთად აგროვებდნენ, ინახავდნენ და უფრთხილდებოდნენ. მის ბიბლიოთეკაში ნახავთ „ვეფხისტყაოსნის" ყველა ქართულ და მრავალ უცხოურ გამოცემას. ვ. ასლანიშვილს თავის დროზე შეუძენია „ვეფხისტყაოსნის" სამი იშვიათი ხელნაწერი. ერთი მათგანი 100-ზე მეტი წლისაა. სწორედ ეს ხელნაწერი დაამუშავა და გამოსცა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა. მის ბიბლიოთეკაში ინახება პოემის თარგმანები რუსულ, უკრაინულ, უზბეკურ, აზერბაიჯანულ, სომხურ, აფხაზურ, ოსურ, ყირგიზულ, ჩეხურ, უნგრულ, ჩინურ და სხვა ენებზე.

აქვეა მარჯორი უორდროპის მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილი და გამოცემული „ვეფხისტყაოსანი" და ბერლინში ქართულ ენაზე დაბეჭდილი მცირე მოცულობის იშვიათი გამოცემა.

ვ. ასლანიშვილმა თავისი ცხოვრების მანძილზე შეაგროვა და შთამომავლობას დაუტოვა „ვეფხისტყაოსნის" 90 სხვადასხვა გამოცემა.

ქართული წიგნის ამ დიდი მეგობრის, კეთილშობილური და მოკრძალებული ადამიანის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს ნაცნობთა და მეგობართა გულში.

ამხანაგების ჯგუფი

ხელოვნება ბავშვებისათვის

ოცი წელია შალვა ცხადაძე საბავშვო ჟურნალის „დილის" მხატვრად მუშაობს. ეს საპატიო მოვალეობა, რისაც მხატვრის დიდი ხელოვნება სჭირდება.

შალვა ცხადაძემ ჟურნალის ირგვლივ მხატვართა ახალი ძალები შემოკრიბა. ისინი სხვადასხვა, მაგრამ ამასთან მეტყველი, გასაგები ენით პატარა მკითხველებს უსურათხატებენ ლექსებისა თუ მოთხრობების სახეებს. ამ სულ სხვადასხვა ხელწერის მქონე მხატვართა ნახატებს „დილის" გვერდებზე ორგანიზებულია მთავარი მხატვრის გულისყურით და დიდი ხელოვნებით. მარტო დამსურათხატებლთა სტილისა და გრაფიკული მეტყველების გათვალისწინება კი არ არის საჭირო გვერდების შინაარსობრივ-კომპოზიციური გადაწყვეტისას, არამედ თვით ტექსტთან და სათაურებთან, თავსართ ასოებთან მათი მხატვრული შესატყვისობაც. ამიტომ ჟურნალის მოხაზულობა მხატვრის ერთ-ერთი რთული შემოქმედებითი შრომაა. იგი ბევრ ფიქრსა და ძიებას ითხოვს. ჟურნალმა „დილამ" ამ მაღალი მხატვრობის მაღალი ხელოვნებისათვის 1963 წელს საბავშვო ჟურნალების მხატვრული გაფორმების საკავშირო კონკურსზე წამახალისებელი დიპლომი მიიღო.

გარდა თვით ჟურნალ „დილაში" მოთავსებული ცალკეული ილუსტრაციებისა, შალვა ცხადაძე საბავშვო გამომცემლობა „ნაკადულის" მიერ გამოშვებული მრავალი საბავშვო წიგნის მხატვრული გაფორმების ავტორიც არის. მხატვარი ზრუნავს ლიტერატურული ნაწარმოების ხასიათისა და სულისკვეთების შესატყვისი სახეთა გადაწყვეტისათვის. იგი სრულყოფილად და თავისუფლად ფლობს ნახატთა და აკვარელით წერას. არსებითად მისი სათქმელი და ხატოვანი პლასტიკური ენა, მხატვრული ტაქტი და ალღო, გონებამახვილობა. უმთავრესად მხატვარი ყოველთვის მიისწრაფვის შექმნას პატარებისათვის ადვილად გასაგები, ამაღლებული პოეტური სახეები. რასაკვირველია ცნობილი ნამუშევარის — „ბაჟაშ-ბაჟანას" ავტორი მოწიფულებული და დახვეწილი ოსტატია, რომლის გემოვნება და მხატვრული კულტურა თვალს უშინაურებს დღევანდელ მხატვრულ აზროვნებისა და კულტურის საერთო მხატვრულ დონეს, მაგრამ თხუთმეტი წლის წინათ გაფორმებული „კომბლეც" რჩება ამ ზღაპრის ქართველი კოლორიტისათვის შესატყვის საინტერესო ნამუშევრებად. მასში გახმოვანებულ მხატვრის მიერ ცხოველების ადამიანური ბუნება, ტიპაჟის დამაჯერებლობა, ხალისი, მიჯაჭვობა, შეუპოვრობა.

სწრაფად ცვლის ერთმანეთს.

ასევე გადაწყვეტილია მაყვალა მრევლიშვილის „ბაჟი-ბიჯანეთის" ილუსტრაციები. ისინი ცოცხალი, ფერადოვანი, სხარტი და დინამიკურია. ტექსტში კომპოზიციურად არის განაწილებული (მოთავსებული ლექსების სვეტებს შორის). ილუსტრაციების ეს ლიკურებრი, ჩანახატის ეთა ძალზე შესატყვისია თვით პოეტის ლექსთწყობისა და რიტმისათვის. ლექსის სიუჟეტის ცვალებადობას მიჰყვება ცხოველთა მრავალფეროვანი სამყაროს წარმომადგენლების ექსპრესიული, მეტყველი სახეები, რომლებიც დახასიათებულია ფეიერიული დეტალებით.

გამომსახველი, ფერადოვანი ნახატები შექმნა მხატვარმა ხალხური ზღაპრის „ბიჭია და ეშმაკისათვის". შემოქმედს სახვითი ხატოვანების მხრივ ძალზე ძნელი ლიტერატურული მასალის ხორცშესხმა მოუხდა, მაგრამ მეღილებით ფანტაზიამ, გამომგონებლობამ, იუმორის გრძნობამ განაპირობა ამ ილუსტრაციების გამომსახველობა. თვალნათლივ სიუჟეტის სქემატურად კი არ იმეორებს ტექსტს, არამედ გამდიდრებულია ცხოვრებისეული ყოფითი დეტალებით. ბავშვი მთავარი პერსონაჟების მოქმედებასთან ერთად ხედავს ცოცხალ გარემოს, რომელშიც ეს პერსონაჟები მოქმედებენ. ამ გარემოში ბევრი რამ მისთვის ასე ნაცნობია. კონკრეტული სურათები გასაგები, დამაჯერებელი ხდება ზღაპარში ზოგადად მინიშნებული ამბები.

ძალზე პოეტურია აგრეთვე ილუსტრაციები მიხეილ სიკორსკის ზღაპრისათვის („როგორ მოიპარა მელამ ბებიას თხაზე"). ამ ნახატებში ძირითადად გამოყენებულია ქაღალდის თეთრი, განკუთვნებული ფონი და მხოლოდ პერსონაჟებია მოცემული ფერებით ან გამჭვირვალე ლურჯი ცის ფონზე. მაგრამ ყოველივე ეს ისეთი გემოვნებით, ფერებისა და ლაქების ისეთი მოხდენილი შეხამებებით არის შესრულებული, რომ მხატვრის ნახატები მარტო ხმას კი არ უწყობს პოეტურ სტროფებს, რომელიც თითქოს ეცილება კიდეც მხატვრულ ძლიერებაში.

ფერმწერი ხელოვანის ი. მოსულიშვილის „ბაჟია-ბიჯანას" მხატვრული გაფორმება. ეს არის ძნელი საქმე ლამაზი მოთხრობა ცალკე ბავშვზე, რომლის სახე, ისე სიმპათიური და ბავშვურად გულუბრყვილო, სიტუაციის ცვალებადობასთან ერთად გადადის ილუსტრაციიდან ილუსტრაციაში. აქ მხატვარი არჩევს გაფორმების ისეთ ხერხს, როგორიც გამოყენებულია იყო ზღაპარში „როგორ მოიპარა მელამ ბებიას თხაზე". ლექსების სულისკვეთებისა და დინამიკურობის შესატყვისად იგი თავის პერსონაჟებს სურათთან ჰარმონიულ ფონს და ფერადებს და პერსონაჟებს ხატავს ლოკალური ქაღალდის თეთრ ფონზე. რესპუბლიკური კონკურსზე შარშან ამ წიგნმა პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო.

მხატვრის მიერ გაფორმებული შარლ პეროს „წითელქუდა" და „ჩექმებიანი კატა", ხალხური ზღაპრები „ჩიტი და მელა", „რწყილი და ჭიანჭველა", „მელა და დათვი", „მამალი და კატა" და ბევრი სხვა გულთბილად მიიღეს ნორჩებმა.

ჩვენ გვჯერა, რომ შ. ცხადაძის მიერ დასურათხატებული კიდევ მრავალი ახალი წიგნი იქცევა პატარა მკითხველების საყვარელ სამეგობროდ.

ლეილა თაბუკაშვილი

შაბათს, საღამოს 7 საათზე მწერალთა სასახლეში საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სექციის ბიურო აწყობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის შალვა ცხადაძის შემოქმედებით საღამოს. საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის ხ. ბერულავა, მოხსენებას მხატვრის შემოქმედებაზე წაიკითხავს ლ. თაბუკაშვილი.

ერთი მცდარი დებულების გამო

(დასასრული)

ნაურ დასკვნას, რომელმაც არ შეიძლება არ გააკვირვოს მკითხველი. გ. ნონაძე წერს: „აშკარაა, როგორც ვხედავთ, ამ ქართულ ფურცლოთა მაგალითით, ქართული ცხოვრება დაკავშირებულია ერთი მხრით ბერძნულ და მეორე მხრით ისლამურ კულტურასთან, არამედ თუ მარტოდ ნივთიერი, არამედ სულიერი ცხოვრებითაც". რადგან შუა საუკუნეების ქართულ ფულზე არსებობს წარწერა ერთ გვერდზე ქართულად, ხოლო მეორე გვერდზე არაბულად. ზუსტ ასეთი მონეტა, ფულის მიგვითითებს და გვიამბობს იმ დებულებას, რომ „...ქართული ცხოვრება დაკავშირებულია ისლამურ კულტურასთან, არამედ თუ მარტოდ ნივთიერი, არამედ სულიერი ცხოვრებითაც?". მაგრამ აქ რომ ბერძნულ კულტურაზეც ლაპარაკობს გ. ნონაძე, ხოლო მან ამის „საბუთი" აღარ დაასახელა და ალბათ იმიტომ, რომ მონეტებს მხოლოდ ორი გვერდი გააჩნია და არა სამი.

XII საუკუნის ქართული კულტურა (არა მარტო ამ პერიოდისა, არამედ ძველი პერიოდებისა) და ამ კულტურის შესანიშნავი ძეგლი შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" შექმნილია ქართველი ხალხის მიერ, მისი შრომით და გენიით. ეკუთვნის შ. რუსთაველის ქმნილებისა მარტო იმაში კი არ იგულისხმება, რომ მასში მაღალმხატვრულად არის ასახული XII საუკუნის ქართული საზოგადოების, ქართული კულტურის განვითარების მიღწევები და იგი წარმოადგენს იმ ეპოქის სინამდვილის სარკეს, არამედ იმაშიც რომ „ვეფხისტყაოსანი" თანამედროვეობას უმხელს თავისი ჰუმანური იდეებით. „ვეფხისტყაოსანი" არასრულყოფილი მოვლენა იმ ეპოქაში სწორედ იმიტომ არის, რომ შოთა რუსთაველმა ყველაფერზე მაღლა დააყენა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის იდეა, რისაც ემსახურება რუსთაველური ინტერნაციონალიზმის.

ინტერნაციონალიზმის ინსტიტუტს ნიკო მარი ქართველ ეპოქაზე. ხოლო აკად. სიმონ ჯანაშია თავის შრომაში „ქართლის ცხოვრების ძველი და ახალი ფურცლები" ამბობს: „რა შეიძლება იყოს მშობლებზე, და-ძმაზე უფრო ახლობელი? ქართველ ხალხს ძველ-ძველთაგანვე აქვს გამჯდარი სისხლით ნათესაობის შეგნება და ადათი. მაგრამ ახალმა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ (ლაპარაკია X საუკუნეზე—შ. ლ.) მოიტანა და ხალხმაც ღრმად შეითვისა რომ სისხლის კავშირის გარდა შეიძლება არსებობდეს და უფრო ძლიერიც იყოს სულიერი, იდეური კავშირი და მეგობრობა. მშობლების გვერდით ხალხმა მამობილი და დედობილი გაიჩინა, ძმას გვერდით ძმობილი ამოუდგა, ძმას — ძმობილი, ძმადნაფიცი, მოძმე, განსაკუთრებული სიძლიერით შეიყვარა ქართველმა ხალხმა. ძმადნაფიცისათვის, ძმობილისათვის არა ერთი ქართველი დაუდევია თავი სიხარულით... საგარეო მოკავშირესაც ხალხი ძმადნაფიცად სთვლიდა...".

შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" მთავარი იდეა, ვიმეორებთ სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული და თავდადებაა, რისაც ემსახურება რუსთაველური ინტერნაციონალიზმი.

ზოგიერთი რუსთველოლოგის მიაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსანში" მთავარი იდეას წარმოადგენს ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის მიჯნურობა, მათი ურთიერთი სიყვარული და სხვა „ვეფხისტყაოსანი" მხოლოდ ეროტიული მხარეს გამოხატავს, ანდა სხვა იდეები მეორე პლანზეა გადატანილი. მიუხედავად იმისა, რომ ტარიელის თავგადასავლის მეტი ხვედრი და დახვეწილი არის ნაღვლიანი სიყვარულით და როგორც ტაბა-ფეგარის ამბობდა, „ვეფხისტყაოსანში" სიყვარული ემსახურება ერთ-ერთ მსჯელობად ახალი, ისე მაღალი, რომ არც ერთი მოქალაქე ამ ეპოქისა. ისე მეუფებით არ დაუტოვებია უდიდეს სიყვარულის თვისება და ხასიათი, ამიტომაც დაიბადა სურათი ვერც ერთი გენიოსის ნაწარმოებში ვერ იპოვით", მაინც მთავარ იდეად შოთა პოემისა არ შეიძლება ქალისა და ვაჟის სიყვარული მივიჩნიოთ. თვით შოთამ ტარიელს ათქმევინა:

„შენი ქალი არად მინდა,
გაათხოვე, გამარიდე!
იმერეთი ჩემი არის,
არვის მივსცემ ჩემგან კიდეს.
ვინცა ჩემსა დაშეცილობს,
მისით მასცა ამოუწყვიტოდა,
სხვას მეშველსა გარეგანსა,
მომკალ, ვინცა ვინატრიდე!

„ვეფხისტყაოსნის" გმირი ქალები სიყვარულზე მაღლა აყენებენ სამშობლოსათვის თავდადებას და სამსახურს. გავიხსენოთ რას წერს ნესტანი ტარიელს:

„მნათობი მნათო, სიყვარული
რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს, სიყვარულსა უჩვენებ
საქმენი საგმიროებო!"
ანდა კიდევ:

„წა, შეები ხატაელთა,
ილაშქრე და ინადირე;
ლხინი მეხმარების, ქმნას და ვაჟმამრჯვედ,
მორჩებულმაცა ჩემ კერძ არს!"

შ. რუსთაველის შემოქმედებას სწორედ ის ახასიათებს, რომ ქალისა და ვაჟის უმწვილელი სიყვარული, სპეტაკი მიჯნურობა არ არის უმიზნო, იგი არსების ერთიერთ სიყვარული და თავდადება — „მნათობი მნათე სიყვარული" — რაც ხშირი იყო და არის შორეულ ცხოვრებაში. შ. რუსთაველმა, როგორც უბადლო გენიოსმა მოგვცა თავისებური მოძღვრება მიჯნურობაზე. სწორედ რუსთაველური მიჯნურობის დამახასიათებელია ყველაფრის წინ დაყენება საქვეყნო საქმეების, სამშობლოსათვის თავგანწირვა და მის წინაშე ვალის მოხდა.

XII საუკუნის ქართული სულისა და კულტურის განსახიერებაა შოთა რუსთაველის ცხოველმყოფელი და უკვდავი იდეები: ა) მამულიშვილობის კულტი, ბ) სპეტაკი მიჯნურობა, გ) ქალისა და კაცის თანასწორუფლებიანობა — „ლეკვი ლომისა სწორია, ძე იყოს, თუნდა ხვადია", დ) ქალისა და ვაჟის უმწიკვლო მეგობრობა (ავთანდილ-ტარიელი), ე) ხალხთა შორის მტკიცე მეგობრობაზე, ვ) სიმართლე და ქველმოქმედება; ზ) საზოგადოების, სახელმწიფო მოხელეთა სიმტკიცე და ერთიანობა — „ჯობს სახელით სიკვდილი, ვიდრე სიცოცხლე სირცხვილით", თ) პიროვნების თავისუფლება, ი) გმირობა და სახელისათვის ბრძოლა — „ჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა" და სხვა მრავალი. ზედმიწევნით უნდა ითქვას, რომ შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები ჯერ კიდევ სრულყოფილად შესწავლილი არ არის.

შოთა რუსთაველის შემოქმედება, მისი სიბრძნე და კეთილშობილება ჩვენს თანამედროვეობას სწვდება და ადამიანების მრავალ საჭირო პასუხობს. სწორედ ამან აიძულა მიხეილ კალინინი შეეფასებინა: „ქართველი ხალხი, კულტურის მხრივ ერთ-ერთი უძველესი ხალხია ჩვენს ქვეყანაში. ქართველი ხალხის კულტურა ჩაისახა ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ ერაში. იგი ვითარდებოდა მსოფლიოს უძველეს და უმდიდრეს კულტურებთან ურთიერთობებში, ჯერ კიდევ არცერთ კულტურის ჩვენს ქვეყანაში არა აქვს ისეთი სახელოვანი ისტორია, როგორც ქართულ კულტურას. პირადად მე ვიცნობ მხოლოდ საქართველოს სიძველეთა ძეგლები, ქართული ხელოვნება, ქართული ლიტერატურა. რუსთაველი რომ კმარა, ფიქრობ: ბევრი არ მოიძებნება ისეთი მწერალი, რომელიც 700 წლის წინათ ცხოვრობდა, როგორც ქართველი ხალხის ეს კეთილშობილი გენიოსი! ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ ქართველ ხალხს ძველთაგანვე ახასიათებს უდიდესი ინტელექტუალური ნიჭი".

გასაოცარია, ვინ მოიგონა თითქოს ქართული კულტურა არ არის თვითმყოფადი და იგი წარმოშობილი ყოფილა სხვადასხვა კულტურათა შეჯვარების გზით?

იუმორი

თქვენ რას იტყოდით...

ის იყო პალტოზე უცხოსახელიანი დიდი ამაგლიჯეს, მეც სპორტის სასახლის სალაროს პატარა სარკმელს ჩავყვიტებ ჩამოვეკიდე და ფარშავანგივით თმაგაფოფრილ მოლარეს დავუწყე:

— ერთი ბილეთი, დეიდა ქალბატონო!

მოლარეს ალბათ არ ეჭაშნიკა ეს ჩემი ორაზროვანი მიმართვა, თვალწარბზე თუჯინასავით გადაშავებული თვალები და მომაჩერდა:

— რას იღრიჯები ყველას ვეპრიალები, მე გეკითხე!

— ნუ ილანძღებით, მეყოფა მე თქვენ და ჩემი ბილეთი მომეცით და წავალ!

— აბა რას გამიცვლი წელს!

— არ გამიცვლი, — ბიჭო, რჯულო..... ყოველ შემთხვევაში, რომ გამცვლებოდა კიდევაც თქვენი ბილეთიდან ხომ არ გავიცვლი.

— ეი, აბესალომ! სარკმლებიდან რომ ფარფხალავ, მოეშვი ეგ უტიფარი, ხმელი ყველაფერი დაიშვენა ხელები — გასძახა იქვე მდგომ მილიციელს.

— არც ჩვენ გვაქვს ნერვები რკინისგან — ვუთხარი.

— აბესალომ, გაიყვანე — შეჰკივლა მოლარემ. აბესალომმა სასტვენს ჩაბერა და კუპიურის მეზურნესავით გაბერა ლოყები.

რიგიდან ბეროთივით გამომაგდეს... ხოლო მოლაპარაკეთა კორიდორებისაგან ბილეთი მაინც ვიყიდე...

ვპოვე სასახლის მეცამეტე სექტორის მეცამეტე რიგის მეცამეტე სკამზე და ვულოდები ხელბურთის დაწყებას, თანაც ვოცნებობ: „დღეს ჩვენებმა მოიგონ და ბრძოლა ოთხ თეთრ ხელში გამგზავრდნენ".

— სულის გამრთობი მოკრივენი — ჩამძახა ცისფერმა ხმამ, ცოცხალ თაქუს დაცმული ცხენ ხმა და, მეზობლის ტანზე შენკრივებით გამოვლიდა, მერე ერთი ლერი თმა, რომელიც „ლაგატურს" კრინავით მქონდა გადასაცვლელად, კიდევ ჩამომიცვივდა.

თამაში დაიწყო... პირველად ჩვენებს სამი ბურთი რომ შეუგდეს ზიზიზიზი, ენა გადავუყლაპე. ჩემსავით გადაყლაპეს ენები სხვებმაც. მერე ტაიმში ჩვენები წინ რომ წავიდნენ, გადაყლაპული ენები ისევ ამოვიღეთ.

უტევენ ჩვენები. ასწორებენ ჩვენები.

— ეს გადასარევი ამბავია, — ვიღაცამ ზურგსუკან ჩამომძახა და მხრებზე ნაზად ჩამჩიქჩიქა. საფანტივით დამაყარა თავზე. რა თქმა უნდა, ამისათვის ყურადღება არ მიმიქცევია, აბა, რის გულშემატკივარი ვარ, რომ ასეთ დროს ამ წვრილმანებს ყურადღება მივაქციო.

თამაშის მიწურული დრო ამოიწურა. ხანგრძლივი დამატებითი დრო. ნაღდია — ვფიქრობ — ჩვენებს გზა გაეხსნათ ჩემპიონობისაკენ. შესვენება... ვერ მოვითმინე და გასახდელისაკენ გავქანდი, მაგრამ ჩემი გაქანება და შექანება მაშინ გაიხსნა, როცა მსაჯი და ოროვე გუნდის კაპიტანი დაჰყოფილება დავინახე ძველი ყომარბაზებივით. არ, ავიდო ხელკაპიტანი მსაჯმა ზევით და სამი კაცის ყველის თვალი დაიმანჭებით მივსი იატაკზე. უცებ ჩვენი კაპიტანი წამოვარდა თითქოს ფეხით ფეთქებით, დაიბანზარავენ გავარდა ყველითა „რეშკა!" თამაში მოვიგეთ! მეც ჩემს სკამს მივაშურე სიხარულისგან აჭრილმა. მთელი დარბაზი გახარებული იყო, მაგრამ ახლა სტუმრებმა დაუწყეს ერთიმეორეს მილოცვა. მივხვდით, რომ „რეშკას" ნაცვლად „ორიოლი" დამჯდარიყო და ჩვენს კაპიტანს პირიქით მოეჩვენებოდა.

— ამრიგად, ზაქრების „მეცამეტრისაკ" ხელბურთელთა გუნდი ევროპის ნახევარფინალში გავიდა! გაისმა აღფრთოვანებული დიქტორის ხმა, მე კი გამოვიქანე ლამფასავით მეხანძრეებივით თვალები, ბილეთს მთლიანად ჩავხედე...

ვწევვარ ახლა მე მიცვალებულივით გამომწვეულ სპორტის სასახლის მეცამეტე სექტორის მეცამეტე რიგის მეცამეტე სკამზე. ჩემი მოლაპარაკე (ოთხი სკამი მეტი სიგრძეზე), ვწევვარ და ვექიმებს უთქვამთ ინფარქტიაო. ორი თვის განმავლობაში წამოდგომა არ შეიძლებაო. ჩემს მოლოდინზე მორიგეობაც არის დაწესებული. სხვათა შორის, ცოლ-შვილის გარდა სიღდერიც მორიგეობს (არ ვიცი რომ ვიკითხო). კიდევ მეტი: ერთხელ, როცა სასახლის დამლაგებლებმა მტვრის კორიანტელი დააყენეს დარბაზში, სიდედრმა ხელები აღაპყრო და ჩემი ბიჭის დახმარებით წყევლის ასეთი სიტყვა წარმოთქვა:

სიდედრი: მამა ზეციერო ღმერთო, ვინც ეს ხელბურთი მოიგონა, იმას წაუღე თითზე ორივე ხელები!

ბიჭი: ფეხბურთი ვინც მოიგონა, ფეხებიც ყველაფერი? (სიდედრს ჩემი ბიჭი ბებიას არ ეძახის, მისგან ჰქვია ძალიან მოსწონს).

სიდედრი: იმას ფეხები მოაცალე ძირში!

ბიჭი: წყალბურთი?

სიდედრი: წყალში ჩაუშვი გაჩენა.

ბიჭი: კალათბურთი?

სიდედრი: კალათით, ჭურჭლით, სასაფლაოზე წაიღეთ ენაზე.

ბიჭი: ფრენბურთი?

სიდედრი: წყალ-წყალად გაფრენილი ენაზე სადღეღეისაკენ.

ბიჭი: ცხენბურთი?

— ცხენბურთი კი არა, ვირბურთი არ გინდა ახლა? თავი დაანებე მე ცანგლიანი, მამაშენს დაეძინა მგონი!

მართლაც ჩამეძინებოდა, რომ გამოვეღვიძა. სიზმარში ერთი დიდი ოლიმპიური იყო. სპორტის ყველა სახეობაში შეჯიბრებები ევროპისა და საერთაშორისო ფედერაციას და „ორიოლ-რეშკაზე" გადაწყდა.

მე, მართლა, სიზმარში სიზმარიც ვნახე: ჩემს კონტინენტზე ჯიბრობა-გორებაში ერთმანეთში ირიბა დელეს კოჭები, ბანქო და კამათელი.

გიორგი მეგრელიშვილი

თეატრი

ხვალ გასტროლები იწყება

ხვალ თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში გასტროლებს იწყებს ოდესის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის უკრაინული მუსიკალურ-დრამატული თეატრი. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში ამ თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგემ ვ. პიპოვამ თქვა:

უკრაინულ და ქართულ თეატრალურ ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ქართველ მსახიობებსა და რეჟისორებს ხშირად მოუხიბლავთ უკრაინელი მაყურებლები.

თავის მხრივ უკრაინის თეატრებიც ხშირად ჩამოსულან საქართველოს დედაქალაქში. აქ წარმატებით მოღვაწეობდნენ კიევის ივ. ფრანკოს სახელობის, დნეპროპეტროვსკის, ლვოვისა და სხვა თეატრების გასტროლები. ჩვენი ახლანდელი ჩამოსვლა თქვენს დედაქალაქში იგრძნობს ამ კარგ ტრადიციას.

საგასტროლო რეპერტუარი საგანგებოდაა შერჩეული — გვინდა მაყურებელს გავაცნოთ სწორედ ის სპექტაკლები, რომლებიც თეატრის სახეს ქმნიან. გასტროლებს ვიწყებთ ნ. ზარუდნის სამშობლოებიანი დრამით „მარინა". იგი შექმნილია ტ. შევჩენკოს ნაწარმოებების მიხედვით. ამ სპექტაკლმა დაიმსახურა ტარას შევჩენკოს სახელობის პრემია.

თბილისელ მაყურებლებს წარმოვუდგენთ ა. კორნეიჩუკის „ღიღინის ფურცლებს", ვ. პიდგის „მარია ტიუდორის", ი. ტიბოლევების „ეწვიეს", ტ. კოცეშნაკის „კეთილშობილების ბიური", შ. სტარიცკის „ბაზრი ქალ ახალ", ნ. ზარუდნის „სიყვარული მოდის" და მ. სტარიცკის „ორი კურდღლის მადევარს".

ქართველი მაყურებლები გაეცნობიან უკრაინული სცენის გამოჩენილ მოღვაწეებს, უკრაინის სახალხო არტისტებს ი. ტვერდოხლებს და გ. ბობენკოს, დამსახურებულ არტისტებს ი. კასილოვას, ვ. სტოროჟენკოს, ვ. ტუზს, ი. ლუკენკოს, ჩვენთან ნიჭიერი ახალგაზრდობაც, ქალთა ვ. პლოტნიკოვა, ს. გერასა, ი. სამოილენკო, ლ. ფილიმონოვა, ვ. ისაი, ვ. გორდეენკო და სხვ.

თბილისელ მაყურებლებთან შეხვედრა ჩვენი დიდი ხნის ოცნებაა. დარწმუნებული ვართ, დიდი ინტერესით ხვალ ჩვენ ერთმანეთს გავიცნობთ.

„ჟანა დ'არკი"

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა 12 მაისს მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი. დიდი ფრანგი დრამატურგის ჟან ანუის პიესა „ჟანა დ'არკი" (თარგმანი გრ. აბაშიძისა). სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია რეზო მირცხულავა, მხატვარი — გ. გუნია, კომპოზიტორი — გ. ყანჩელი.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ: ს. ჭიაურელი (ჟანა), ი. უჩანეიშვილი (შარლი მე-7), აკ. კვანტალიანი (ბოდრიკური), ა. ომიაძე (არქიეპისკოპოსი), გრ. კოსტავა (ჟანას მამა), ტ. ხაჯერულიძე (კოშონი), ო. მეღვინეთუხუცესი (ვარვიკი), გ. ტატიშვილი (ფისკალი), ჯ. ლოლუაშვილი (ლა ირი), მ. ობოლაძე (ინკვიზიტორი), ალ. ყიფშიძე (ძმა ლადვენიუ) და სხვ.

„ბადამრბენი"

ფაშისტურ გერმანიაზე ძლევამოსილად გამარჯვების ოცი წლისთავს მიუძღვნა ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრმა ა. და პ. ტურის პიესა „ბადამრბენი". სპექტაკლი დადგა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მ. თუმანიშვილმა, მხატვრობა ეკუთვნის სომხეთისა და საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს რ. ხაჩატრიანს, მუსიკალური გაფორმება — ლ. ქიმმიშევისა. როლებს ასრულებენ: რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ხლავინი (ივან რუბცოვი), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ი. ზლობინი (ბონდარევი), ბ. სტავიცკი (ალექსეი რუბცოვი), ი. შეჩუკი (მურინე), ვ. კოლესნიკი (ტატარინოვი), ვ. მინეევი (ანიკინი), მსახიობები: ა. ლევინი (სუდარიკოვი), ო. ლორტკინა (ლომბროვსკაია), ა. გვაძაბია (რახიმბაევი) და სხვები.

ახალი წიგნები

„ნაკადული"

კოტე მესხი — მწვერვალისაკენ. (მოთხრობები). რედაქტორი — ნ. ბაზერაშვილი, მხატვარი — ი. ქიღაძე. გვ. 70, ფასი 7 კაპ.

გრიცკო ბოიკო — მხიარული ბავშვები. (ლექსები), მთარგმნელები ი. სიხარულიძე, გ. ჭავახიძე, შ. ლებანიძე, გ. კაჭახიძე, რედაქტორი — გ. კაჭახიძე, მხატვარი — შ. ცხადაძე. გვ. 28, ფასი 13 კაპ.

მიხეილ ლერმონტოვი — ლექსები (სერიიდან „მსოფლიო პოეზიის ბიბლიოთეკა". მთარგმნელები: შ. ლებანიძე, ხ. ბერულავა, კ. ნადირაძე, შ. ნიშნიანიძე, დ. გაჩეჩილაძე, გ. გეგეჭკორი, ო. ჩხეიძე, ბ. გიგუა). რედაქტორი — შ. ნიშნიანიძე, მხატვარი — თ. მირზაშვილი. გვ. 80, ფასი 12 კაპ.

„ლიტერატურა და ხელოვნება"

ალექსანდრე გომიაშვილი — ძველები და კლდეები. (წიგნში შეტანილია პოეტის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსები და ბალადები.

კრებულში წარმოდგენილია აგრეთვე დიდი სამამულო ომისა და ომისშემდგომი პერიოდის ამსახველი ნაწარმოებები და ერთი თავი ისტორიული პოემიდან „ამბავი სამასი არაგველისა"). რედაქტორი — შ. ქორიძე, მხატვარი — დ. გოგუაძე, გვ. 170, ფასი 44 კაპ.

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი.

სარედაქციო კოლეგია: ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ზ. ქლენტი, ერ. ქარელიშვილი, ს. ჩიქოვანი.

ИНДЕКС 66449 რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, ტელეფონები: რედაქტორის 9-84-01, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების 9-67-10, საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03538